585/2
1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 2 (470)

1980 წლის თებერვალი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

16.565

№ 2 (470) თებერვალი 1980 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

35. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესებისათვის“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 23 იანვრის დადგენილების თაობაზე.

36. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ზ. ბ. გელდიაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

37. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. გ. ვარძელაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

38. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

### განყოფილება მეორე

39. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

40. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

41. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

42. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

43. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ვ. აკაევასათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

44. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ბ. მოწერელიასათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

45. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ი. ხუციშვილისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

46. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ბ. მეფარიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

47. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. დ. თათარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

48. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

49. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

50. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

51. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ო. ანდრიაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

52. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ე. კეთილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

53. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ი. მაკაროვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

54. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ო. მინდელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

55. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. პ. პეტროსიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



56. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. უ. ბ. სანაკოევას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

57. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ი. ხაბურზანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

58. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

59. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

60. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

61. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ა. ჯაშის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საინფორმაციო ცნობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**35 „სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესებისათვის" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 23 იანვრის დადგენილების თაობაზე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც განიხილა „სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესებისათვის" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 23 იანვრის დადგენილება, აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, აგრეთვე შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესებისათვის თანამიმდევრულად მიღებული ზომებისა და მიღწეული დადებითი ძვრების მიუხედავად რესპუბლიკაში ამ საქმეში კვლავ გარკვეული ნაკლოვანებები და დარღვევებია.

ჯერჯერობით საჭირო ეფექტიანობას ვერ მიაღწია სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და მათი ორგანოების მუშაობამ შრომითი რესურსების გამოყენებაზე კონტროლის, შრომის შესახებ კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფის, მათ ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

საზოგადოებრივ მეურნეობაში შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების რესპუბლიკური მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალოსაკავშიროს, ხოლო მუშათა კადრების დენადობისა და მოცდენის, სამუშაოს გაცდენის, ადმინისტრაციის ნებართვით სამუშაოზე გამოუცხადებლობის მიზეზით სამუშაო დროის დანაკარგების მაჩვენებელი აღემატება საშუალო საკავშიროს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. „სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესებისათვის" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

2. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზემოაღნიშნული დადგენილება დაეგზავნოთ სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს; დაევალოთ მათ აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე განიხილონ დადგენილება და შეიმუშაონ კონკრეტულ ღონისძიებათა კომპლექსი მის შესასრულებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 11 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 36 ამხ. ზ. ბ. გელდიაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ზაალ ბესარიონის ძე **გელდიაშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 22 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 37 ამხ. ო. გ. ვარძელაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ომარ გიორგის ძე **ვარძელაშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 22 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 38 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია ქ. თბილისში 1980 წლის 27 მარტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 27 თებერვალი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 39 საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის ჰიდრომეტეოროლოგიის, ჰაერისა და წყლის რესურსების კომპლექსური შესწავლის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

**გეგელაშვილს** ლიდია მიხეილის ასულს — თბილისის ამინდის ბიუროს ჰიდროპროგნოზების განყოფილების უფროსს.

**შაუთიძეს** ოთარ დავითის ძეს — კოლხეთის ჰიდრომეტეობსერვატორიის დირექტორს.

„საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკი“

**მგალობლიშვილს** გიორგი მიხეილის ძეს — კავშირგაბმულობის ტერიტორიული ცენტრის უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 20 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 40 საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ტრანსპორტზე ნაყოფიერი მუშაობისათვის და საჰაერო ფლოტის დღესთან დაკავშირებით **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის"** საპატიო წოდება მიენიჭოთ სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებს:

**ავალიანს** იური სიმონის ძეს — თბილისის ავიასაწარმო მეთაურს.

**სპირიდონოვს** ნიკოლოზ სიმონის ძეს — საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს რადიოტექნიკური მოწყობილობის ექსპლუატაციისა და კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 27 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 41 საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ტრანსპორტზე ნაყოფიერი მუშაობისათვის და საჰაერო ფლოტის დღესთან დაკავშირებით **„საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის"** საპატიო წოდება მიენიჭოთ სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებს:

**ახლამაზიშვილს** ოთარ გარეგინის ძეს — თვითმფრინავ ტუ-154 პილოტ-ინსტრუქტორს.

**ბურდულს** ივანე ესტატეს ძეს — ავიაციის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს.

**ლევჩენკოს** ფილიპე სიმონის ძეს — ავიატექნიკოსს.

**მესხიძეს** თამარ ისკანდერის ასულს — ბათუმის აეროპორტის რადიოოპერატორს.

**მუმლაძეს** ზურაბ ბესარიონის ძეს — საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს საწარმოო-სადისპეტჩერო სამსახურის უფროს დისპეტჩერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პანტელეევს თევდორე ივანეს ძეს.

ციცურიშვილს ვალიკო ზაქარიას ძეს — ავტომობილების შემკეთებელ ზეინკალს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 27 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 42 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

მშენებლობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, თბილისის მეტროპოლიტენის მეორე რიგის „ვაგზლის მოედან-დელისის" ხაზის წარმატებით საექსპლუატაციოდ გადაცემასთან დაკავშირებით სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო, საპროექტო ორგანიზაციების, აგრეთვე საქართველოს სსრ სხვა ორგანიზაციების მუშაკებს, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი, მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"

ბარაბაძეს გივი ევგენის ძეს — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უფროსს.

ბოჩიკაშვილს პეტრე ალექსანდრეს ძეს — ინსტიტუტ „კავტრანსსახპროექტის" მეტროსა და გვირაბების განყოფილების უფროსს.

ელიაშვილს ნიკოლოზ მიხეილის ძეს — ინსტიტუტ „კავტრანსსახპროექტის" ელექტრიფიკაციის განყოფილების უფროსს.

კაკაბაძეს შოთა ერმილეს ძეს — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს № 5 საგვირაბო რაზმის მთავარ მექანიკოსს.

კანაშვილს ბიძინა ვასილის ძეს — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს № 5 საგვირაბო რაზმის მთავარ ენერგეტიკოსს.

კიკნაძეს გურამ გრიგოლის ძეს — ინსტიტუტ „კავტრანსსახპროექტის" ტექნიკური განყოფილების მთავარ სპეციალისტს.

კობახიძეს დემნა მაქსიმეს ძეს — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს მთავარი ინჟინრის მოადგილეს.

კუპატაძეს ირაკლი ვასილის ძეს — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსს.

მეხრიშვილს ოთარ ივანეს ძეს — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს ელექტრომექანიკურ მოწყობილობათა განყოფილების უფროსს.

სალაყაიას მიხეილ ნიკოლოზის ძეს — თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუთიძეს ოთარ ვასილის ძეს — თბილისის მეტროპოლიტენის საგზაო და სავირაბო ნაგებობათა სამსახურის უფროსს.

ტუღუშს შალვა ნიკიფორეს ძეს — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

ჭაბუკიანს გუჯა ნიკოლოზის ძეს — მშენებარე მეტროპოლიტენის დირექციის უფროსს.

ჭელიძეს რომან სევერიანეს ძეს — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 5 სავირაბო რაზმის უფროსს.

ხუციშვილს ალექსანდრე ივანეს ძეს — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს ტექნიკური განყოფილების უფროსს.

ჯაფარიძეს კარლო გიორგის ძეს — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უბნის უფროსს.

## „საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებელი“

ავალიანს გიორგი ნიკოლოზის ძეს — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს მოწყობილობის ექსპლუატაციის, გაქირავებისა და შეკეთების კანტორის ზეინკალ-მემონტაჟეს.

ახლანოვს ივანე არმენაკის ძეს — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნის ზეინკალ-მემონტაჟეს.

არტაზოვს იური მიხეილის ძეს — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 5 სავირაბო რაზმის ინჟინერს უსაფრთხოების ტექნიკის დარგში.

გრიგორიანს ვაგარშაკ ჰაიკის ძეს — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 5 სავირაბო რაზმის ზეინკალ-მემონტაჟეს.

კაჩმაზოვს თევდორე ხაურბეკის ძეს — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 5 სავირაბო რაზმის გვირაბგამყვანს.

კიკნაძეს ტუგუჩი ვლადიმერის ძეს — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გვირაბგამყვანს.

მაზურიკს ლევ კასიანეს ძეს — „მთავარგვირაბმეტრომშენის“ № 901 სპეციალიზებული სამშენებლო მატარებლის მომპირკეთებელს.

მარტინოვსკის ნიკოლოზ მაქსიმეს ძეს — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გვირაბგამყვანს.

ნემოვს იური ვლადიმერის ძეს — „იუჟტრანსტეხმონტაჟის“ № 22 სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ელექტრომონტიორს.

სავჩენკოს ივანე პეტრეს ძეს — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 5 სავირაბო რაზმის ზეინკალ-მემონტაჟეს.

სირაძეს რაულ შალვას ძეს — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის სამუშაოთა მწარმოებელს.

ტუღუშს ლენსტალ გრიგოლის ძეს — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 5 სავირაბო რაზმის უბნის უფროსს.

ქიმერიძეს მიხეილ ნიკოლოზის ძეს — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 5 სავირაბო რაზმის გვირაბგამყვანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხუნაშვილს** ალექსანდრე მიხეილის ძეს — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 5 საგვირაბო რაზმის ზეინკალ-შემონტაჟეს.

**ჭეირანოვს** გიორგი გაბრიელის ძეს — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უბნის მარკშეიდერს.

**„საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი“**

**გოჩიტაშვილს** რევაზ ანდრიას ძეს — თბილისის მეტროპოლიტენის ელექტროქვესადგურებისა და ქსელების სამსახურის მთავარ ინჟინერს.

**შენგელიას** ვახტანგ სამსონის ძეს — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი“**

**იოსავას** დურმიშხან დავითის ძეს — ინსტიტუტ „კავტრანსსახპროექტის“ სამრეწველო და სამოქალაქო შენობათა და ნაგებობათა განყოფილების მთავარ არქიტექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 27 თებერვალი

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 43 ამხ. ე. ვ. აკაევასათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საავიაციო ტრანსპორტის სისტემაში ნაყოფიერი მუშაობისათვის და საჰაერო ფლოტის დღესთან დაკავშირებით სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს პოლიკლინიკის ექიმს ამხ. ეკატერინე ვასილის ასულ **აკაევას** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 27 თებერვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 44 ამხ. ა. ბ. მოწერელიასათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და სამეცნიერო კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „მთავარსაქწყალმშენის" სამმართველოს ტრესტ „კოლხეთმშენის" სამშენებლო ლაბორატორიის გამგეს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ალექსანდრე ბესარიონის ძე **მოწერელიას** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის"** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 27 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 45 ამხ. ნ. ი. ხუციშვილისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

უმაღლესი პარტიული განათლების სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ბაქოს უმაღლესი დაუსწრებელი პარტიული სკოლის საქართველოს სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის პასუხისმგებელ მდივანს ამხ. ნათელა იორდანეს ასულ **ხუციშვილს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის"** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 27 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 46 ამხ. ნ. ბ. მეფარიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სოფლის მეურნეობისა და დამზადების განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ნოდარ ბათლომეს ძე **მეფა-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 12 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 47 ამხ. შ. დ. თათარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო განათლების ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ამხ. შალვა დავითის ძე თათარაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 13 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 48 საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მაღალეფექტიანი ჰიდრომეტეოროლოგიური უზრუნველყოფის, ჰავისა და წყლის რესურსების კომპლექსური შესწავლის, გარემოს გაჭუჭყიანების კონტროლის განხორციელების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის და დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველო დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 20 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**49** საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ჰიდრომეტეოროლოგიის, ჰავისა და წყლის რესურსების კომპლექსური შესწავლის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს მუშაკები:

**ალანია** ალექსანდრე მელიტონის ძე — სოხუმის ზონალური ჰიდრომეტობსერვატორიის დირექტორი.

**ალთუნაშვილი** ალექსანდრე სარქისის ძე — კავშირგაბმულობის ტერიტორიული ცენტრის უფროსი ინჟინერი.

**ასატუროვა** ამალია აკოფის ასული — კავშირგაბმულობის ტერიტორიული ცენტრის ტელეგრაფისტი.

**ახობაძე** სერგი კონსტანტინეს ძე — ბაკურიანის აგრომეტეოროლოგიური სადგურის უფროსი.

**ბერიევა** სუსანა ნიკოლოზის ასული — თბილისის ამინდის ბიუროს გრძელვადიანი პროგნოზების განყოფილების ყოფილი უფროსი.

**გაჩეჩილაძე** ქეთევან ანთიმოზის ასული — საქარის აგრომეტეოროლოგიური სადგურის ყოფილი უფროსი.

**ზავრიევა** ნინო ალექსანდრეს ასული — თბილისის ჰიდრომეტობსერვატორიის ჰავის განყოფილების უფროსი.

**კოპლატაძე** ვახტანგ ვასილის ძე — თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი.

**მამასახლისი** სერგი ვარლამის ძე — ქუთაისის ავიამეტეოსადგურის უფროსი.

**ოქროჯანაშვილი** გაიოზ მაქსიმეს ძე — თბილისის ამინდის ბიუროს უფროსის მოადგილე.

**ურბანოვიჩი** ვლადისლავ ვიტოლდის ძე — თბილისის ჰიდრომეტობსერვატორიის ჰიდრომეტფონდისა და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის განყოფილების უფროსი.

**ფულარიანი** ლაზარი ლევანის ძე — საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე.

**ქორჩილაძე** გიორგი თომას ძე — გაგრის მაღალმთიანი რადიომეტეოსადგურის უფროსი.

**ჩიქოვანი** შოთა ბესარიონის ძე — საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩხეიძე** მარი ალექსანდრეს ასული — თბილისის ჰიდრომეტობსერვატორიის უფროსი ინჟინერ-ჰიდროლოგი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 20 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 50 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს სასწავლო-სპორტული ბაზის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდეს** დამპროექტებელთა და მშენებელთა ჯგუფი:

**ბულალაური** იოსებ ალექსის ძე — ტრესტ „საქკურორტრემმშენის“ სამშენებლო სამმართველოს ხურო.

**კაკაბაძე** მიხეილ მირიანის ძე — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საპროექტო ორგანიზაცია „კულტპროექტის“ არქიტექტურული სახელოსნოს ხელმძღვანელი.

**კაციტაძე** სოლომონ პორფილეს ძე — არქიტექტორი, პროექტის ავტორი.

**ლავრელაშვილი** შოთა დიმიტრის ძე — ტრესტ „საქკურორტრემმშენის“ სამშენებლო სამმართველოს ხურო.

**მარგიანი** შალვა ალექსანდრეს ძე — ტრესტ „საქკურორტრემმშენის“ სამშენებლო სამმართველოს ხურო.

**ოდელაძე** შალვა ივანეს ძე — ტრესტ „საქკურორტრემმშენის“ სამშენებლო სამმართველოს მღებავი.

**ოფანიდი** ნიკოლოზ გიორგის ძე — ტრესტ „საქკურორტრემმშენის“ სამმართველოს კალატოზი.

**ღამბაშიძე** გრიგოლ ვასილის ძე — ტრესტ „საქკურორტრემმშენის“ სამმართველოს უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 20 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 51 ამხ. ი. ო. ანდრიაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამშენებლო და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათი წლისთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის პირველი მოადგილე ამხ. ირაკლი ონისიმეს ძე **ანდრიაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 20 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 52 ამხ. ა. ე. კეთილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობაში, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათი წლისთან დაკავშირებით საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ანდრია ერემიას ძე **კეთილაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 20 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 53 ამხ. ნ. ი. მაკაროვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარებში ხანგრძლივი, უმწიკვლო სამსახურისა და რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის, დაბადების ორმოცდაათი წლისთან დაკავშირებით ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლოზ ივანეს ძე **მაკაროვი** და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სი-გელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 20 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 54 ამხ. ე. ო. მინდელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური, საწარმოო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ა. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ელიზბარ ონისიმეს ძე **მინდელი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

16.565

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 20 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 55 ამხ. ს. პ. პეტროსიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. სიმონ პეტროსის ძე **პეტროსიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 20 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 56 ამხ. უ. ბ. სანაკოევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროფესიული კავშირების საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ყურუზმაგ ბორისის ძე **სანაკოევი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 20 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 57 ამხ. ლ. ი. ხაბურზანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ლეო იასონის ძე **ხაბურზანია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 20 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 58 სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ტრანსპორტზე ნაყოფიერი მუშაობისათვის და საჰაერო ფლოტის დღესთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკები:

**კარაკალოვი** ალექსი სავას ძე — თვითმფრინავ ან-2 მეთაური.

**მიქელაძე** თეიმურაზ გიორგის ძე — საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს სამედიცინო-სანიტარიული სამსახურის უფროსი.

**ნოზაძე** ლავრენტი ივანეს ძე — თვითმფრინავ ან-2 ინსტრუქტორ-ტრენაჟერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნიკოლეიშვილი** გონერი დავითის ძე — თვითმფრინავ ტუ-134 ხომალდის მეთაური.

**რაქვიაშვილი** ალექსანდრე ივანეს ძე — თბილისის აეროდრომის სამსახურის ოსტატი.

**ხარტონიშვილი** ვლადიმერ გიორგის ძე — ვერტმფრენ მი-8 მეთაური.

**ჯიოევი** ზაურ ილიას ძე — თვითმფრინავ იაკ-40 პილოტ-ინსტრუქტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 27 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 59 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემების დანერგვის დათვალიერება-ერთთვიურის ორგანიზაციასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობის, აგრეთვე 1979 წელს მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ასამაღლებლად ნაყოფიერი საქმიანობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** რესპუბლიკის პარტიული და სამეურნეო ორგანოების, სამრეწველო საწარმოების მუშაკები:

**ვალეიკო** ვლადიმერ პავლეს ძე — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებული ხარისხის კომისიის მდივანი.

**გადლია** მარლენ გიორგის ძე — სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს სოხუმის ქარხანა „სოხუმხელსაწყოს" ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი.

**გამცემლიძე** გიორგი პავლეს ძე — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი.

**გენძეხაძე** თენგიზ ლევანის ძე—სსრ კავშირის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მთავარი ინჟინერი.

**კუხალეიშვილი** ინდიკო ამბროსის ძე — საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტთან არსებული პროდუქციის ხარისხისა და წარმოების ეფექტიანობის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

**ფროლოვი** ბორის ლეონიდეს ძე — საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატის მეავეჯე-ამწყობთა ბრიგადირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქორიძე** ზაურ გრიგოლის ძე — საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგის მოადგილე.

**ჩხაიძე** რევაზ ტარასის ძე — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე.

**ჯიბუტი** შოთა მიხეილის ძე — საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის მეორე მდივანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 27 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 60 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თბილისის მეტროპოლიტენის მეორე რიგის „ვაგზლის მოედან-დელისის" ხაზის საექსპლუატაციოდ გადაცემასთან დაკავშირებით მიღწეული წარმატებებისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ** სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო, საპროექტო ორგანიზაციების, აგრეთვე საქართველოს სსრ სხვა ორგანიზაციების მუშაკები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი:

**აბაშმაძე** ლამარა ნოეს ასული — ინსტიტუტ „კავტრანსსახპროექტის" მეტროსა და გვირაბების განყოფილების პროექტის მთავარი ინჟინერი.

**ალფენიძე** ვაჟიკო ჯვებეს ძე — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს № 5 საგვირაბო რაზმის გვირაბგამყვანი.

**ამერბეკიანი** ვლადიმერ არმენაკის ძე — „საქელექტრომონტაჟის" თბილისის სამონტაჟო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

**ამირიძე** ვლადიმერ გიორგის ძე — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლი.

**არჩვაძე** ალექსანდრე სერგის ძე — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მთავარი ინჟინერი.

**აფციაური** გრიგოლ შიოს ძე — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლი.

**ბაგრამოვი** სერგო აბგარის ძე — ინსტიტუტ „კავტრანსსახპროექტის" მეტროსა და გვირაბების განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

**ბაინდუროვა** ირაიდა გიორგის ასული — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს საგეგმო განყოფილების უფროსი.

**ბახიშვილი** გივი ალექსანდრეს ძე — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უფროსის მოადგილე.

**ბენიძე** ოთარ გიორგის ძე — თბილისის მეტროპოლიტენის სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის, ბლოკირებისა და კავშირგაბმულობის სამსახურის უფროსის მოადგილე.

მეხ. ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბროვკინი** გიორგი ნიკოლოზის ძე — ინსტიტუტ „კავტრანსსახპროექტის“ საძიებო განყოფილების მთავარი გეოდეზისტი.

**გარავა** ნოდარ ბესარიონის ძე — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს მოწყობილობის ექსპლუატაციის, გაქირავებისა და შეკეთების კანტორის მთავარი ინჟინერი.

**გოგსაძე** ელგუჯა ალექსანდრეს ძე — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ზეინკალ-მემონტაჟე.

**გოლოვაჩევი** ვიქტორ ნიკიტას ძე — ტრესტ „ტრანსსიგნალმშენის“ № 814 სპეციალიზებული სამშენებლო მატარებლის ელექტრომონტიორი.

**გრიგორიევი** რუბენ სერგის ძე — ტრესტ „საქტელეფონმშენის“ სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

**დავიდოვა** ნინო პეტრეს ასული — ინსტიტუტ „კავტრანსსახპროექტის“ მეტროსა და გვირაბების განყოფილების ჯგუფის ხელმძღვანელი.

**დარსაველიძე** გიორგი ილიას ძე — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 5 საგვირაბო რაზმის გვირაბგამყვანი.

**ვარდოსანიძე** ალექსანდრე ამბერკის ძე — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს მოწყობილობის ექსპლუატაციის, გაქირავებისა და შეკეთების კანტორის ძალური უბნის უფროსი.

**ვაშაკიძე** გივი ალექსანდრეს ძე — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კანტორის უფროსის მოადგილე.

**კავსაძე** იოსებ ირაკლის ძე — თბილისის მეტროპოლიტენის პარტიული კომიტეტის მდივანი.

**კალანდარიშვილი** გივი კონსტანტინეს ძე — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს მოწყობილობის ექსპლუატაციის, გაქირავებისა და შეკეთების კანტორის უფროსი.

**კაშია** ქიშვარდი ივანეს ძე — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გვირაბგამყვანი.

**კახნიაშვილი** ზურაბ ალექსანდრეს ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი.

**კვერღელიძე** რევაზ ალექსანდრეს ძე — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს გაერთიანებული სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე.

**კეზრაშვილი** აბრამ იზრაილის ძე — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 9 საგვირაბო რაზმის მომარაგების განყოფილების უფროსი.

**კილაძე** კლაუს ვარლამის ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი.

**კობაიძე** ვიქტორ ალექსანდრეს ძე — „იუჟტრანსტეხმონტაჟის“ № 22 სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მშენებელი ოსტატი.

**კობიძე** ჰენრიხ იაკობის ძე — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს გაზეთ „მეტრომშენებლის“ რედაქტორი.

**კოზბელევსკი** ანატოლი გიორგის ძე — ინსტიტუტ „კავტრანსსახპროექტის“ მეტროსა და გვირაბების განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კოპალეიშვილი** აკაკი ილიას ძე — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის ყოფილი მდივანი (ამჟამად საქართველოს ალკკ სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი).

**კოშკაძე** ნათელა ზაქარიას ასული — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს № 5 საგვირაბო რაზმის სამრეწველო-ტექნიკური განყოფილების უფროსი.

**ლეკიაშვილი** გიორგი იოსების ძე — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უბნის უფროსი.

**ლომინაშვილი** მურად შოთას ძე — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უბნის უფროსი.

**ლორთქიფანიძე** ოთარ გიორგის ძე — ინსტიტუტ „კავტრანსსახპროექტის" მეტროსა და გვირაბების განყოფილების პროექტის მთავარი ინჟინერი.

**მაღრაძე** ზალიკო ონისიმეს ძე — თბილისის მეტროპოლიტენის საგზაო და საგვირაბო ნაგებობათა სამსახურის უფროსი გზის ოსტატი.

**მამუკაშვილი** უშანგი ირაკლის ძე — „საქელექტრომონტაჟის" ტრესტის გამშვებ-გასამართავი სამმართველოს უფროსი.

**მარკოზოვა** თამარ ნიკოლოზის ასული — ინსტიტუტ „კავტრანსსახპროექტის" მეტროსა და გვირაბების განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

**მათეოსოვი** გიორგი მამპრეს ძე — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნის მთავარი მექანიკოსი.

**მაჭარაშვილი** შურა სერაპიონის ძე — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს № 5 საგვირაბო რაზმის უბნის მექანიკოსი.

**მაჭარაშვილი** ნუკრი ვასილის ძე — „მრეწვვენტილაციის" სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი.

**მესხი** გიორგი დიმიტრის ძე—„თბილგვირაბმშენის" სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გვირაბგამყვანი.

**მესხიშვილი** რიჩარდ ანდრიას ძე — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს № 5 საგვირაბო რაზმის სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე.

**მიკუჩაძე** იაგო ალექსანდრეს ძე — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს № 5 საგვირაბო რაზმის უბნის უფროსი.

**მიმინოშვილი** ზურიკო იასონის ძე — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს № 5 საგვირაბო რაზმის გვირაბგამყვანი.

**მიროტაძე** ეთერ ლევანის ასული — ამიერკავკასიის რკინიგზის ცენტრალური პოლიკლინიკის ექიმი.

**მირიჯანაშვილი** ვიქტორ ვასილის ძე — „საქელექტრომონტაჟის" ტრესტის სამონტაჟო სამმართველოს მეკაბელე.

**ნადარაია** რომან ბაგრატის ძე — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გვირაბგამყვანი.

**ნოზაძე** შოთა ვახტანგის ძე — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნის მთავარი ინჟინერი.

**საბუგასოვი** ბორის კუზმას ძე — ტრესტ „ტრანსსიგნალმშენის" № 814 სპეციალიზებული მატარებლის სამუშაოთა მწარმოებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სალუქვაძე** სოსო ივანეს ძე — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს კადრების განყოფილების უფროსი.

**სვანაძე** დემურ ბარნაბის ძე — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 5 საგვირაბო რაზმის ზეინკალთა ბრიგადირი.

**ტაბიძე** იდენ სიმონის ძე — მხატვარი, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი.

**ფაჩულია** ბუდუ პავლეს ძე — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს ყოფილი მთავარი ინჟინერი.

**ჩუბინიძე** ვასილ ბეჟანის ძე — „მრეწვვენტილაციის“ სამმართველოს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ზეინკალ-მემონტაჟე.

**წვერავა** ავთანდილ ლევანის ძე — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნის ბეტონსარევი საამქროს უფროსი.

**ხაინდრავა** ბორის კონსტანტინეს ძე — „საქელექტრომონტაჟის“ ტრესტის გამშვებ-გასამართავი სამმართველოს უფროსი ინჟინერი.

**ხიდურელი** თამაზ მიხეილის ძე — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 5 საგვირაბო რაზმის პარტიული ბიუროს მდივანი.

**ჯვარშეიშვილი** გენო აკაკის ძე — „საქელექტრომონტაჟის“ ტრესტის თბილისის სამონტაჟო სამმართველოს უბნის უფროსი.

**ჯოხაძე** ალექსანდრე გერასიმეს ძე — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 5 საგვირაბო რაზმის ზეინკალ-მემონტაჟე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 27 თებერვალი

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 61 ამხ. ი. ა. ჯაშის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობაში, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათი წლისთან დაკავშირებით პროფკავშირთა კურორტების მართვის აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ირაკლი აზიზის ძე **ჯაში** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 27 თებერვალი.

№2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1980 წლის 21 თებერვალს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომაზე მოსმენილ იქნა საქართველოს სს რესპუბლიკაში ბავშვის საერთაშორისო წლის მომწყობი კომისიის თავმჯდომარის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ო. ე. ჩერქეზიას ინფორმაცია რესპუბლიკაში ბავშვის საერთაშორისო წლის ჩატარების შედეგების თაობაზე. აღინიშნა, რომ ხელმძღვანელობდნენ რა 1979 წლის პირველ იანვარს ცენტრალური ტელევიზიით ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში მოცემული მითითებებით, ბავშვის საერთაშორისო წლის მოწყობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებითა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით რესპუბლიკის საბჭოთა ორგანოებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გასწიეს დედისა და ბავშვის დაცვის და მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის შემდგომი სრულყოფისათვის.

წარმატებით შესრულდა სკოლებისა და ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობის გეგმები. გაფართოვდა საბავშვო ასორტიმენტის საქონლის წარმოება. გაუმჯობესდა ბავშვთა კვება სკოლებსა და საბავშვო ბაღებში. სასიკეთო ძვრებია მათი სამედიცინო მომსახურების საქმეშიც. 1979 წელს განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი ბავშვთა საზაფხულო დასვენების უკეთ მოწყობისათვის.

მიუხედავად ამისა, ამ საქმეში ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა გადაუჭრელია, არ არის სრულად გამოყენებული არსებული რეზერვები და შესაძლებლობანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა საქართველოს სს რესპუბლიკაში ბავშვის საერთაშორისო წლის მომწყობი კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობა.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს და მათ აღმასრულებელ კომიტეტებს, სამინისტროებს, უწყებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაავალა განამტკიცონ მიღწეული და შემდგომშიც განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ დედისა და ბავშვის დაცვის, სკოლებისა და ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის სრულყოფის, მათი სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების, მოსწავლეთა და სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელთა კვებისა და სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციის გაუმჯობესების, საბავშვო ასორტიმენტის საქონლის წარმოების გაფართოებისა და ხარისხის ამაღლების, ბავშვთა საზაფხულო დასვენების ორგანიზაციის სრულყოფის საკითხების გადაწყვეტას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

განიხილა რა საკითხი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილების განსახორციელებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ამოცანების შესახებ XI-XII ხუთწლედებში რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივების შესაბამისად კადრების შერჩევის, განაწილებისა და მათი აღზრდის საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობა ტარდება საბჭოთა ორგანოების სათანადო კადრებით განმტკიცებისათვის, დაკისრებული საქმისადმი მათში მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის აღზრდის, ორგანიზებულობისა და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის გამომუშავებისათვის; მეტი ყურადღება ექცევა კადრების ზოგადსაგანმანათლებლო, სამართლებრივი ცოდნისა და საქმიანი კვალიფიკაციის დონის ამაღლებას, მუშაობის დადებითი გამოცდილების შესწავლას, განზოგადებასა და გავრცელებას, ინიციატივისა და სასარგებლო წამოწყებისათვის მხარდაჭერას. სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ საბჭოთა მშენებლობის ორწლიან სკოლებში სისტემატურად ეწყობა მეცადინეობები; აღმასრულებელი კომიტეტები ატარებენ „დეპუტატის დღეს", სემინარებს, თათბირებს, თემატიკურ საღამოებს, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს საბჭოთა მშენებლობის სხვადასხვა აქტუალურ პრობლემებზე.

ამასთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ კადრებთან გაწეული მუშაობის დონე სრულად ვერ უპასუხებს პარტიის საპროგრამო მოთხოვნათა შესაბამისად კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის შემდგომი გაზრდის ამოცანებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოებსა და აღმასრულებელ კომიტეტებში დაბალია საშემსრულებლო დისციპლინა. მათი აპარატების საქმიანობაში ადგილი აქვს ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის ცალკეულ გამოვლინებებს.

ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტთა პასუხისმგებელი მუშაკებისა და დეპუტატების სწავლება, მუშაობა მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ჯერ კიდევ მოკლებულია სისტემატურობასა და მიზანდასახულობას. სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელების საქმე; სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ზოგიერთ აღმასრულებელ კომიტეტში საჭირო მუშაობა არ ტარდება დაწესებულებების, სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან მათ მიერ კანონმდებლობის ნორმების შესრულების საკითხებზე და ა. შ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მიიღონ სათანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დო ზომები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელად შესრულებისათვის.

სხდომაზე მოწონებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზოგიერთ ორგანიზაციულ ღონისძიებათა გეგმა.

ორგანიზაციულ-მასობრივი და საინფორმაციო-მეთოდური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის სადეპუტატო მოვალეობათა შესრულების საქმეში ხელის შეწყობის მიზნით და სახალხო დეპუტატთა ყველა დონის საბჭოების მუშაობის მოწინავე გამოცდილების შესწავლის, განზოგადებისა და გავრცელების უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებასთან საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა საბჭოთა მუშაობის კაბინეტი.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე საკითხები: საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1979 წლის შედეგების შესახებ, საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე სესიაზე დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადადებების სარეალიზაციოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე, „პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ მართლწესრიგის დაცვის და სამართალდარღვევებთან ბრძოლის შესახებ კანონმდებლობის გამოყენებისა და დაცვის პრაქტიკის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 17 იანვრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს სსრ სამართლდამცველ ორგანოებში, საქართველოს სსრ ტყის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობის თაობაზე და სხვ.

* * *

ყველა განხილულ საკითხზე მიღებულ იქნა შესაბამისი დადგენილება.

## საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დაჯილდოვდა 171 დედა:

| | |
|---|---|
| ქ. თბილისის ლენინის რაიონიდან . . . . . . . . | — 1 |
| „ ორჯონიკიძის „ . . . . . . . . | — 2 |
| „ 26 კომისრის „ . . . . . . . . | — 3 |
| ქ. ფოთიდან . . . . . . . . | — 1 |
| ქ. ქუთაისის ავტოქარხნის რაიონიდან . . . . . . . . | — 1 |
| ქ. ტყიბულიდან . . . . . . . . . . . | — 1 |
| ქ. ჭიათურიდან . . . . . . . . . . . . | — 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| ახალქალაქის | რაიონიდან | — 8 |
| გარდაბნის | „ | — 9 |
| დუშეთის | „ | — 5 |
| ზესტაფონის | „ | — 3 |
| ზუგდიდის | „ | — 5 |
| თიანეთის | „ | — 1 |
| კასპის | „ | — 4 |
| ლაგოდეხის | „ | — 8 |
| ლენტეხის | „ | — 9 |
| მარნეულის | „ | — 12 |
| მესტიის | „ | — 9 |
| მცხეთის | „ | — 4 |
| ორჯონიკიძის | „ | — 1 |
| საგარეჯოს | „ | — 25 |
| სამტრედიის | „ | — 5 |
| საჩხერის | „ | — 1 |
| ქარელის | „ | — 8 |
| ყვარლის | „ | — 7 |
| ჩოხატაურის | „ | — 3 |
| წალენჯიხის | „ | — 4 |
| წალკის | „ | — 9 |
| სამხრეთ ოსეთის | ა/ო | — 17 |

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებით „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოვდა 2.150 კაცი:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისის კიროვის | რაიონიდან | — 34 |
| „ ორჯონიკიძის | „ | — 97 |
| ქ. რუსთავიდან | | — 53 |
| ქ. ქუთაისის ლენინის | რაიონიდან | — 54 |
| „ ავტოქარხნის | „ | — 46 |
| ქ. ტყიბულიდან | | — 89 |
| ქ. ფოთიდან | | — 48 |
| ქ. წყალტუბოდან | | — 38 |
| ამბროლაურის | რაიონიდან | — 60 |
| ახალციხის | „ | — 69 |
| ახალქალაქის | „ | — 114 |
| ბორჯომის | „ | — 15 |
| გურჯაანის | „ | — 51 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| დუშეთის | რაიონიდან . . . . . . . . | — 72 |
| ვანის | „ . . . . . . . . | — 57 |
| ზესტაფონის | „ . . . . . . . . | — 250 |
| თერჯოლის | „ . . . . . . . . | — 318 |
| კასპის | „ . . . . . . . . | — 30 |
| მესტიის | „ . . . . . . . . | — 77 |
| საგარეჯოს | „ . . . . . . . . | — 150 |
| საჩხერის | „ . . . . . . . . | — 121 |
| ქარელის | „ . . . . . . . . | — 56 |
| ჩოხატაურის | „ . . . . . . . . | — 76 |
| წულუკიძის | „ . . . . . . . . | — 98 |
| ხაშურის | „ . . . . . . . . | — 77 |